

ნატა ახმეტელი

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის საკითხისათვის

მკვლევართა ყურადღებას დიდი ხანია იპყრობს საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის წარმოშობის საკითხი. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ამიერკავკასია გამოირჩევა როგორც ველური, ისე კულტურული და მათ შორის გარდამავალი ფორმების ვაზის მრავალფეროვნებით. ამიტომ რეგიონი ვაზის მოშინაურებისა და კულტივირების ერთ-ერთ უძველეს კერად ითვლება სამხრეთ-დასავლეთ წინააზიურ არეალთან ერთად.

მევენახეობას მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა ივ. ჯავახიშვილმა. მასვე ეკუთვნის პირველი ამპელოგრაფიული აღწერილობაც. მევენახეობა-მეღვინეობის სამშობლოს ძიებაში იგი მიმოიხილავს ველური ვაზის გავრცელების თანამედროვე არეებსაც, რადგან ყველა ის ადგილი, სადაც ველური ვაზი ოდითგანვე იყო გავრცელებული, ვაზის კულტივირების სავარაუდო კერებს წარმოადგენს.

ამიერკავკასიაში ველური ვაზი, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ყველაზე უხვად არის შავი ზღვის სანაპიროზე და მთლიანად საქართველოში, არის სომხეთშიც, შემდეგ სპარსეთში (გილანში) და იქიდან მოყოლებული ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით თურქესტანამდე აღწევს. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ველური ვაზი იზრდება ანატოლიაში, პალესტინაში, მაგრამ არაბეთსა და ეგვიპტეში მისი კვალი არ ჩანს, იმისდა მიუხედავად, რომ ძველ ეგვიპტეში ვაზის კულტურის არსებობის დამამტკიცებელი ნაშთები IV დინასტიის სამარხებშია აღმოჩენილი. საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით ველური ვაზი ყირიმის მთების ორივე ფერდობზე იზრდება მსხვილმერქნიან ხეებად. ამას გარდა დნეპრის მარჯვენა სანაპიროზე, დნესტრის, პრუტისა და დონის სანაპიროებზე, კარპატების სამხრეთ კალთებზეც ვაზი ველურია. იგი აგრეთვე უხვად არის უნგრეთის დაბლობებში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, თრაკიის მაღნარებში, კუნძულ თასოსზე, დალმაციასა და ალბანეთში, იტალიასა და საფრანგეთში (3,384).

ველური ვაზის გავრცელების დადგენის გარდა საინტერესოა, თუ სად არის შემორჩენილი უძველესი მევენახეობის კვალი. აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში მევენახეობა ცნობილია ბრინჯაოს ხანაში.

მეღვინეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მიკენურ საბერძნეთში, სადაც აღმოჩენილია ღვინის საცავები პილოსის სასახლეში, მევენახეობის შესახებ ცნობები არის „ხეთურ კანონებშიც“ (4,652). მევენახეობა-მეღვინეობის არსებობის დამადასტურებელი ნიშნები მოიპოვება ეგვიპტეშიც, მაგრამ რადგენ იქ ვაზი ბუნებრივად არ იზრდება, რეგიონს ყურძნის კულტივირების სავარაუდო კერებიდან გამორიცხავენ. საქართველოში მევენახეობის არსებობის უტყუარ საბუთად მიიჩნევენ ქვევრის გამოჩენას (კომპლექსში სხვა ნიშნებთან ერთად) და მას ათარიღებენ გვიანი ბრინჯაოს ხანის მიწურულით – ძვ. წელთაღრიცხვის II-I ათასწლეულის მიჯნით (5,240). მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც. კერძოდ, ენეოლითისა და ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე აღმოჩენილ ყურძნის წიპვებს განიხილავენ როგორც მევენახეობის დამამტკიცებელ საბუთს და მევენახეობის ისტორიას ამიერკავკასიაში ენეოლითიდან იწყებენ (1,46).

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „მას შემდეგ, რაც ველური ვაზი ადამიანმა ჯერ გაიშინაურა, ხოლო შემდეგ მისი კულტურის გაინტენსივების საშუალებას მიაგნო, მევენახეობა სასოფლო მეურნეობის ურთულეს დარგად იქცა“ (3,321). საქართველოში გვიანი ბრინჯაოს ხანიდან დაფიქსირებული ქვევრები უთუოდ გვევლინებიან განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობის საბუთად. მაგრამ ამ პერიოდს წინ უსწრებდა ვაზის მოშინაურებისა და კულტივირების ხანგრძლივი პროცესი. აქედან ცალკე გამოსაყოფია მეღვინეობა, რადგან ვაზისგან განსხვავებით, რომლის კულტივირებაც სხვადასხვა კერებში მოხდა, ღვინის შექმნის იდეა, როგორც ჩანს, ერთი ადგილიდან გავრცელდა დანარჩენ მხარეებში. ამას მეტყველებს კიდევ მისი სახელი – u(e/o)ino, რომელიც საერთოა ინდოევროპული, სემიტური, ხათური და ქართველური ენებისთვის. თ. გამყრელიძე მას „მიგრაციულ ტერმინს“ უწოდებს და თვლის, რომ მისი მიგრაცია ინდოევროპულიდან დანარჩენ ენებში უნდა მომხდარიყო (4,651), შესაბამისად ღვინის სამშობლოც ინდოევროპული საზოგადოებაა.

როგორც თ. კიდურაძე აღნიშნავს, ამიერკავკასიაში ენეოლითის ხანის შულავერი-შომუთეფეს კულტურის ორ ძეგლზე – შულავრის გორისა და დანგრეული გორის ქვედა ფენებში აღმოჩენილია კულტურული ვაზის ნიშნის მქონე ყურძნის წიპვები. ამის გარდა, კულტურულთან ახლომდგომი ყურძნის წიპვები ნაპოვნია შომუთეფეზე (დასავლეთი აზერბაიჯანი) და დაღესტანში ჩოხის ნამოსახლარზე. არარატის ველზე ხათუნარხის ნამოსახლარიდან მომდინარე თიხის ჭურჭლის ნატეხებზე კი დადასტურდა ღვინის დანალექი. ყოველივე ამის გათვალისწინებით თ. კიდურაძე დაასკვნის, რომ ამიერკავკასიის ცენტრალური ნაწილი მევენახეობა-მეღვინეობის

უძველეს ცენტრად წარმოგვიდგება (1).

მომდევნო ეტაპზე ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის ძეგლებზე აღმოჩენილი ყურძნის წიპწები კვლავ რჩება ამიერკავკასიაში მევენახეობის საბუთად (6,70). მაგრამ მტკვარ-არაქსის კულტურის მეურნეობის ხასიათიდან გამომდინარე, ი.კიკვიძე ამ პერიოდში მევენახეობის არსებობას არ იზიარებს. მისი აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის მეურნეობაში მებაღეობა-მევენახეობის არსებობის განხილვისას მხედველობაში არ იღებენ ისტორიული განვითარების პერსპექტივას. მიწაზე საკუთრების დამკვიდრებას მეურნეობის არც ერთი დარგი ისე არ უწყობს ხელს, როგორც მევენახეობა. მტკვარ-არაქსულმა საზოგადოებამ კი ვერ მიაღწია საკუთრებას მიწაზე. ეს კარგად ჩანს მისი მეურნეობის ხასიათიდანაც და სოციალური სტრუქტურიდანაც. განვითარებული მეურნეობის შემთხვევაში არ იქნებოდა ის სამეურნეო კრიზისი, რომელმაც ამ კულტურის დასასრული გამოიწვია (5,85). თუ აღნიშნულ პერიოდში მევენახეობის არსებობას დავუშვებთ, მაშინ ეჭვქვეშ დგება სამეურნეო კრიზისი და კულტურის დასასრული სხვა პროცესებს უნდა დაეუკავშიროთ.

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევის, ენობრივი და არქეოლოგიური მონაცემების გამოყენების საფუძველზე შევეცდებით გარკვეულწილად ავხსნათ ჩვენს ქვეყანაში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ასპექტი.

ჩვენში გავრცელებული ყოფილა როგორც მადლარი, ასევე დაბლარი ხელნაშენი მევენახეობა. მადლარი მევენახეობაა ხეზე გაშვებული დიდტანადი ვაზი, რომელსაც მადლარი, ან ბაბილო, ან დობილო ვენახი ჰქვია (3,322). დაბლარი მევენახეობაა ხელნაშენი დაბალტანადი ვაზი. დაბლარი მევენახეობა ინტენსიური კულტურაა, მადლარი კი – ექსტენსიური, თითქმის ველურის შესადარი (3,349). აღმოსავლეთ საქართველოში ველურ ვაზს მადლარს, ანუ ბაბილოს უწოდებენ, რადგან დაბლართან შედარებით მდლარს იმდენად მცირე შრომა ესაჭიროება, რომ ბაბილო ველური ვაზის სინონიმად იხმარეს (3,349). საფიქრებელია, რომ ძველად დასავლეთ საქართველოში უმეტესად მადლარი მევენახეობა უნდა ყოფილიყო გაბატონებული, აღმოსავლეთ საქართველოში კი პირიქით, დაბლარს ექნებოდა დათმობილი მთავარი ასპარეზი და მადლარს მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ექნებოდა (3, 345).

საინტერესოა, როდის შემოვიდა საქართველოში დაბლარი ხელნაშენი მევენახეობა, რომელსაც ინტენსიური ხასიათი ჰქონდა და შესაბამისად უფრო მეტ და უკეთესი ხარისხის მოსავალს იძლეოდა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მევენახეობა-მეღვინეობასთან

დაკავშირებული ტერმინები:

1. ღვინოს - u(e/o)ino -ს, როგორც აღვნიშნეთ, თ. გამყრელიძე „მიგრაციულ ტერმინს“ უწოდებს და თვლის, რომ მისი მიგრაცია მოხდა ინდოევროპულიდან ქართველურში და დანარჩენ სხვა ენებშიც, რადგანაც ეს ტერმინი საერთოა ინდოევროპული დიალექტებისთვისაც. გარდა ამისა ღვინის საერთო-ინდოევროპულ ფუძეს ეტიმოლოგიური კავშირი აქვს ფუძე uei-/ui -თან მნიშვნელობით „დახვევა“, რაც სხვა ენებში არ გვხვდება (4,647-649). ქართულ სიტყვაში „ღვინო“ -ღ-შემდგომ განვითარებულად მიაჩნიათ /მეგრულში – ღვინი, სვანურში – ღვინ-ალ, სომხურში – გინი/ (2,220).

2. ვენახი – ივ. ჯავახიშვილის აზრით, ვენახი წარმომდგარია ღვენახისაგან და თავდაპირველად ღვინის ხის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (6,681). თავიდან ვენახი ძველ ქართულში ვაზის ერთ ძირს ნიშნავდა. ვაზებით დარგული ბაღების მნიშვნელობა ამ სიტყვას მოგვიანებით მიენიჭა (6,114-115).

3. ყურძენი, ვაზი – თ. გამყრელიძეს ღვინისა და ვენახის გარდა უცხო ენიდან ნასესხებად მიაჩნია ყურძენიცა და ვაზიც. ავტორი ყურძენს ადარებს ურარტულ ვენახს – GIS uldini, ვაზს კი სომხურ vaz, ირანულ raz (1,651). მიუხედავად იმისა, რომ თ. გამყრელიძე ამიერკავკასიას მევენახეობის ერთ-ერთ უძველეს სამშობლოდ განიხილავს, სხვა მკვლევრების მსგავსად, მას მიაჩნია, რომ ამ დარგის ძირითადი ცნებები სხვა ენებიდან განდევნილ იქნენ ნასესხები სიტყვებით, რომლებმაც ძირითადი ტერმინების ადგილები დაიკავეს.

4. ქართულ ენაში შემორჩენილია გარეული ყურძნის სახელებიც – კრიკინა, უსურვაზი, ძღუამლი, ბურძღუმი, მორცხულა, ბურეხი, შხურუჩი (6,309). მაგრამ კულტურული ვაზის აღსანიშნავად იხმარება ვენახი, რომელიც ღვინისაგან არის ნაწარმოები და აღიქმება როგორც ღვინის ხე. ამიტომ ამ ტერმინის დამკვიდრება ალბათ მაშინ არის სავარაუდებელი, როცა საქართველოს ტერიტორიაზე მეღვინეობის არსებობის დამადასტურებელი ნიშნები მოგვეპოვება. ჯერჯერობით კი ეს გვიანი ბრინჯაოს ხანის ბოლო პერიოდიდან იგულისხმება. გვიანი ბრინჯაოს ხანიდან მასობრივად ვრცელდება ბრინჯაოს ნამგლები, კომბინირებული იარაღი, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება როგორც მეზაღვინეობა-მევენახეობაში ტოტების შესაჭრელად განკუთვნილი იარაღი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნამგლები გავრცელებული იყო ადრე ბრინჯაოს ხანიდან, მხოლოდ ეს მოსაზრება საკმარისი არ არის მევენახეობის არსებობის დასასაბუთებლად. რომც დავუშვათ ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მევენახეობის გავრცელების შესაძლებლობა, არავითარი დამამტკიცებელი

საბუთი არ არსებობს იმის შესახებ, რომ საქართველო მევენახეობის სამშობლოა, – აღნიშნავს ი. კიკვიძე (2,101). მეორე ათასწლეულის დასასრულიდან კი ჩნდება ქვევრებიც. თრელიგორებზე საკულტო შენობებში, საკურთხეველთან და ღუმელთან ერთად აღმოჩენილია ქვევრებიც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ვენახიც ისეთივე თაყვანისცემის საგანი გამხდარა, როგორც კერია და საკურთხეველი. დილომში, აგრეთვე ყათლანისხევსა და მელიდელე I-ში ქვევრი უმეტესად გვხვდება საკულტო შენობებში, იშვიათად – ნასოფლარებზე. ამ პერიოდიდან მეღვინეობა უცილობლად წარმოადგენს სამიწათ-მოქმედო მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ დარგს (2,240).

არსებული მონაცემების საფუძველზე ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა ვაზს ოდითგანვე იცნობდა და შესაძლოა მის კულტივირებასაც მისდევდა, მით უფრო რომ ამიერკავკასია ველური ვაზის სამშობლოდ არის მიჩნეული. თავდაპირველად აქ გავრცელებული ყოფილა მადლარი ექსტენსიური მევენახეობა. მოგვიანებით სამხრეთიდან მევენახეობის კულტურის აქ შემოტანასთან ერთად ხდება ინტენსიურ მევენახეობაზე გადასვლა და თანდათანობით საფუძველი ეყრება კლასიკური მევენახეობა-მეღვინეობის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ლიტერატურა

1. Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб., 1984.
2. Я. Киквидзе, Земледелие и земледельческий культ в древней Грузии, Тб., 1988.
3. თ. კილურაძე, მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი ცენტრის განსაზღვრისათვის, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო სესიის მასალები, 1999.
4. К. Х. Кушнарера, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры южного кавказа, Ленинград, 1970.
5. ა. ურუშაძე, ბერძნული ენის ისტორიის ზოგი საკითხი, Историко-филологические розыскания, I, Тб., 1980.
6. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგ. II, თხზ. ტ. V, თბ., 1986.

Nata Achmeteli

Über den Weinbau und die Weinbereitung in Georgien (Zusammenfassung)

Den Südkaukasus gibt man für die Heimat der Weinrebe, und die Leute, die das Territorium von Georgien bevölkert hatten, waren von altesher, natürlich, bekannt mit der Weinrebe. Davon zeugen auch archäologische Materialien (Weinkerne, die man an den Denkmälern der Schulaweri-Schomutepe Kultur des Eneolithzeitlichen und der Kuro-Araxis Kultur des früheren Bronzezeitalters gefunden hatte).

Obgleich gibt es unterscheidende Meinungen der Erforscher über Entstehung des Weinbaus und der Weinbereitung. Mit Rücksicht auf linguistische und archäologische Angaben hat der Autor eine Meinung, daß der extensive Weinbau (fast gleichweriger dem wilden) in Georgien von altersher verarbeitet war.

Für die Bezeichnung der kulturwellen Weinrebe gebraucht man in der Georgischen Sprache das Wort "Wenachi" ("Weinberg"), das vom Wort "Gwino" ("Wein") abgeleitet ist. Vorher ausgegangen, ist die Entstehung des kulturellen, d.i. intensiven Weinbaus, vielleicht, unmittelbar mit der Weinbereitung verbunden. Aber die Merkmale, die Existenz der Weinbereitung in Georgien bezeugt, sind bei uns einstweilen seit der letzten Periode des späteren Bronzezeitalters, d.i. seit dem Ende von II Jahrtausend von unserer Zeitrechnung festgestellt.

